

## მონიტორინგის მთავარი მიზნები

3-9 მარტის პერიოდში მედიაში შემდეგი თემები იყო ატუალური:

- ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მიმართ სიძულვილის ენას სასულიერო პირის (ელიზბარ დიაკონიძე, სამების ტაძრის დიაკვანი), ასევე ლინჩის წესით გასამართლების გამართლებას ოფიციალური თანამდებობის პირის (დიმა ჯაიანი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი) მხრიდან ჰქონდა ადგილი;
- ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის წყარო ძირითადად რესპონდენტები (ნოდარ ნათაძე, სახალხო ფრონტი, თამარ ხატიაშვილი, მოქალაქე) იყვნენ;
- როგორც ჟურნალისტის (ასავალდასავალი), ასევე რესპონდენტის (გიგლა ბარამიძე, დემოკრატიული მოძრაობა) მხრიდან ხდებოდა უკრაინის და საქართველოს პოლიტიკური ლიდერების ეთნიკურ წარმომავლობაზე დაუსაბუთებელი აპელირება, ასევე ეთნიკური კუთვნილების დაუსაბუთებელი მითითება (კავკასია; გაზეთი "რეზონანსი", მოქალაქე);
- მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით მომზადებულ სტატიაში ("რეზონანსი"), რომელიც უცხოელ ფერმერთა მიმართ ადგილობრივთა უკმაყოფილებას ასახავს, არ არის წარმოდგენილი არც უცხოელ ინვესტორთა პოზიცია, არც ის, თუ რას ეყრდნობა ჟურნალისტის გან-

ზოგადება, რომ მიწის გასხვისება უკანონოდ მოხდა;

- უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრისას ადგილი ჰქონდა საფრთხეებზე დაუსაბუთებელ აპელირებას და ამ კონტექსტში ბათუმში მეჩეთის მშენებლობის მოხსენიებას (დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი), ასევე ანტითურქული (ირინა სარიშვილი, იმედი) და ანტიამერიკული განწყობების გაღვივებას, რა დროსაც ჟურნალისტი თანამედროვე კონტექსტში ისტორიის სუბიექტურ ინტერპრეტაციას მიმართავდა (Geworld.ge), ასევე სექსუალურ უმცირესობათა უფლებების ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიებას (Geworld.ge);
- ანტიდასავლური დისკურსი ძირითადად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პირობების არასწორ ინტერპრეტირებას, სექსუალურ უმცირესობათა უფლებებს, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებსა და ID ბარათების თემას უკავშირდებოდა;
- ინფორმაციაში, რომელიც სამეფო დარბაზის აშენებასთან დაკავშირებით ხობის მოსახლეობის უკმაყოფილებას ასახავს, არ არის წარმოდგენილი თავად ივჭოვას მოწმეთა პოზიცია აღნიშნულ საკითხთან

გაგრძელება გვ. 2

## № 3, 3-9 მარტი



## შინაარსი

სიძულვილის ენა	2
ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია	3
ეთნიკური კუთვნილების დაუსაბუთებელი მითითება	3
საკუთრებითი დავა	4
უკრაინის მოვლენები - საფრთხეებზე დაუსაბუთებელი აპელირება	4-5
ანტიდასავლური განწყობები	5-8
რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	8
სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია	9
პოლიტიკური სპეკულაციები	9
გენდერული თემატიკა	10
ცრურწმენები	10

## მონიტორინგის მთავარი მიზნები

### დასაწყისი გვ. 1

დაკავშირებით ("ინტერპრესნიუსი"). ამდენად რელიგიური უმცირესობა ჟურნალისტური მასალის ობიექტად გვევლინება და არა სუბიექტად;

- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია როგორც მედიის (კავკასია), ასევე რესპონდენტების (ელიზბარ დიაკონიძე, სამების ტაძრის დიაკონი; გიორგი გერმანიძე, გლობალური ტენდენციების კვლევის ინსტიტუტი) მხრიდან იჩენდა თავს;
- ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის 17 მაისის "გეი ადლუმად" წარმოჩენას და ამ ღონისძიების მიუღებლობის მოტივით საზოგადოების მობილიზების მცდელობას როგორც მედიის (ასავალ-დასავალი), ასევე რესპონდენტის (ნოდარ მაგლობლიშვილი, მსახიობი) მხრიდან ჰქონდა ადგილი;
- პოლიტიკურ სპეკულაციებს საქართველომ ევროკავშირის ელჩის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით მედიის (გაზეთი "ალია", სააგენტო "პირველი") მხრიდან ჰქონდა ადგილი;
- გაზეთმა "რეზონანსმა" გენდერული სტერეოტიპული მიდგომა გამოავლინა, როდესაც უკრაინელი მომღერლის, ევრომადინის აქტივისტის რუსლანას წარდგენა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ქალთა საერთაშორისო ჯილდოზე სიმამაცისთვის გართობის რუბრიკაში გააშუქა.

პოზიტიური გაშუქების მაგალითები:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის 8 საათიან "მომბეზი" (9 მარტი) გასული სიუჟეტი სახელმწიფო ენის სწავლებაზე აზერბაიჯანულენოვან სკოლებში და მოსწავლეების ინტეგრირების პროცესზე, ასევე "იმედის" 8 საათიან "ქრონიკაში" (4 მარტი) გასული სიუჟეტი ქართველ და ებრაელ ქალთა ერთობლივი კულტურული ღონისძიების შესახებ;
- გაზეთ "პრაიმ ტაიმის" (3 მარტი) მიერ ეთნიკური დისკრიმინაციის ფაქტის გაშუქება, როდესაც აზერბაიჯანული ჟურნალ "ნარგისის" პრეზენტაციაზე გარკვეული სტუმრები სომხური წარმომავლობის გამო არ მიიწვიეს.
- ნეტგაზეთში (6 მარტი) გამოქვეყნებული პუბლიკაცია ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ.

## სიკულვილის ენა

### ასავალ-დასავალი, 3-9 მარტი

**ლიზა ჯანიანი, აფხაზეთის განათლებისა და კულტური მინისტრი:** "ვანო მერაბიშვილს ურჩევნია, ციხეში რაც შეიძლება დიდხანს იჯდეს, თორემ მის დასაკლავად გამზადებული ხალხის უზარმაზარი რიგი დგას უკვე!.. ხალხი ამ ხროვას არ აპატიებს არაფერს! როცა სასამართლო არ სასამართლობს და სამართალი დაწიხლულია, მა

შინ ხალხი თვითონ ირგებს მოსამართლის მანტიასაც და თვითონ იღებს ხელში მართლმსაჯულების მახვილს! და ვაი იმას, ვისაც ეს მახვილი მოხვდება!"

### ქრონიკა, 3 მარტი

**ელიზბარ დიაკონიძე, სამების ტაძრის დიაკონი:** „იტყუები, ქალბატონო თამარ [ჩერგოლეიშვილი], ბოკერია ათეისტია და წინმდა ნინოს ხატს არ მოჰკიდებდა ხელს შენთან

მოსატანადაც კი-მეთქი. იმ ხატს მიაგდებდა კუთხეში. ბოკერია რაცხა ნაგავია სულიერებაში, ეს ყველამ იცის და სამი ქორეპისკოპოსიდან არა მგონია, რომელიმე მხარს არ უჭერდეს ბოკერიას. რატომ? იმიტომ კი არა, რომ ბოკერიას აზრი მოსწონთ, თავიანთი ჯიბე და ქისა რომ სავსე იყოს, მაგიტომ. დღეს ისეთი დროა, ეშმაკთან თუ არ იქენი სამსახურში, ქისას ვერ აავსებ“.

## ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

### რეზონანსი, 3 მარტი

**ნოდარ ნათაძე, სახალხო ფრონტი:** „დალატია აგრეთვე... ბათუმში თურქების მასობრივად ჩამოსახლება, თბილისსა და ანაკლიაში ჩინური ქალაქების შექმნის მცდელობა“.

### ქრონიკა, 3 მარტი

**თამარ საბიაშვილი, მცხეთის მკვიდრი:** „ქართველისთვის მცხეთა ხომ აღარ არის და, რომ ვიკითხეთ, მამ ჩინელისთვის და თურქეთისთვის არის ეს ქალაქი-თქო? ისინი ფულს გვიხდიან და აბა, რააო“...



## ეთნიკური კუთვნილების დაუსაბუთებელი მითითება

### რეზონანსი, 7 მარტი

**ვასო შაგვშია, ჟურნალისტი:** "თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული დადესტნელების, ეროვნებით ავარი დეიდაშვილების მიკაელ კადიევისა და რიზვან ომაროვის წინააღმდეგ წარმოებული საქმის განხილვა 6 მარტს დაასრულა და ორივეს ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა."

### ასავალ-დასავალი, 3-9 მარტი

#### გიგლა ბარამიძე, დემოკრატიული მოძრაობა:

"საკოვი ადამიანის უფლებებზე ყეფდეს, ხოლო ემზარ კვიციანი ციხეში იჯდეს, ეს არის სამართლიანობის აღდგენის ქართული პროექტი?"

### ასავალ-დასავალი, 3-9 მარტი

**გიორგი გიგაური, ჟურნალისტი:** "იულიას არც თავზე ცნობილი უკრაინ-

ული ნაწნავის სახელდახელოდ მიმაგრება დავიწყებია, მაგრამ თანამედროვე ფოტოგრაფიამ გრიგოანი [სომხური გვარი] გასცა: მაიდნის ტრიბუნაზე მიჭრილი იულიასთვის გადაღებულ ფოტოზე მკაფიოდ ჩანს, რომ, ჯერ ერთი, მისი უკრაინული ნაწნავი უფრო ღია ფერისაა, ვიდრე "მშობლიური" თმა"... სხვისი არ ვიცი და, მე რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ძველი და ერთობ ახლო მეგობრობიდან გამომდინარე სააკიანს იულია გრიგოანმა "დოქტორ დოტობა" შესთავაზა!"

#### საზოგადოებრივი მაუწყებელი, ონაგბე, 9 მარტი

სიუჟეტი ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე მცხოვრები ეკომიგრანტების სოციალურ პრობლემებს ასახავს. მასში მოყვანილია ერთ-ერთი ეკომიგრანტის სინქრონი, რომელიც წალკაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ბერძენის მიერ სახლის დაც-

ლის მოთხოვნას ასახავს. სიუჟეტში არ არის განმარტებული, რომ წალკაში ეთნიკური ბერძენების სახლებში ეკომიგრანტები დროებით იყვნენ შესახლებული.

#### ოთარ ბოლქვაძე, სოფელ განთიადის მცხოვრები:

"წალკაში ვცხოვრობდით ბერძენის სახლში. ჩამოვიდა ბერძენი მეპატრონე დაგვიცალე სახლიო, სად წავიდეთ?"  
<http://1tv.ge/news-view/65055>

#### კავკასია, სემპტრი, 5 მარტი

#### ღამით აქუბარდია, წამყვანი:

"ვინ ჩამოიყვანეს, ბიჭო, ჩინელებს ამუშავებდნენ იმ ობიექტზე, ჩინეთის პროლეტარიატი დაასაქმეს, კარგით რა, ჩვენი ფული იხარჯება."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2278644](http://www.myvideo.ge/?video_id=2278644)

## საკუთრებითი ღვაწი

### რეზონანსი, 6 მარტი

სტატია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სამოვრების გამო არსებულ უკმაყოფილებას ასახავს. ჟურნალისტი მოსახლეობაზე აპელირებით ინდოელ და ჩინელ ფერმერებთან მიმართებით არსებულ უკმაყოფილებას აღწერს. ავტორი უცხოელ ინვესტორთა და ეკონომიკის სამინისტროს პოზიციის გარეშე, ცალმხრივად გადმოსცემს პრობლემის არსს და ყოველგვარი ჟურნალისტური გამომძიების გარეშე აკეთებს განზოგადებას, რომ წინა ხელისუფლების დროს მიწების გასხვისება უკანონოდ მოხდა.

**მარი ჩიტაია, ჟურნალისტი:** "მოსახლეობას პრობლემები აქვს ინდოელ ფერმერებთან დაკავშირებით. მათ მომიჯნავეთ აქვთ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები, რის სიახლოვესაც ადგილობრივებს არ აკარებენ და თავიანთ სავარგულებში მუშაობის უფლებას არ აძლევენ. წინა ხელისუფლებამ ვეჯინში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 80% ინდოელ ფერმერებს უკანონოდ მიჰყიდა და ხალხის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მათგან დამოუკიდებლად გაასხვისა".

## უკრაინის მოვლენები - საფრთხეა და უსაბუთო აპელირება

### GEWORLD.GE, 4 მარტი

**ირინა სარიშვილი, პარტია იმედი:** "ყირიმი უკრაინას არ დარჩება... თურქეთი გაბატონდება ყირიმში და მერე ამას რაც მოყვება, თუ თქვენ არ იცით, ეგებ მშობლებს მაინც ჰკითხოთ... თუმცა ზოგიერთმა ეგებ იცის კიდევ, რას მოუტანს ეს საქართველოს – აფხაზეთი და სამაჩაბლო ვიღას გაახსენდება, ახალი პრობლემები დაიწყება, მით უმეტეს, რომ ისედაც გაივსო ჩვენი სამშობლო, დიახ, ჯერ კიდევ ჩვენი სამშობლო, თურქული "ბიზნესებით" და სერიალებით!!! ეგებ ვინმეს უკრაინის მხარდაჭერა გონია, თუ ყირიმში თურქულ პასპორტებს დაარიგებენ?!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!"

<http://www.geworld.ge/ViewGE.php?G=9171>

### GEWORLD.GE, 5 მარტი

**ღამით მხიკი, ჟურნალისტი:** "...რუსეთი რომ უკან არ იხევს, ვხედავთ და რა ფასი ექნება რეალურად მსოფლიოს ლგბტ-პედერასტების ბელადის მუქარას, რამდენად შორს წავა აშშ, ვნახავთ... პუტინი არაადეკვატურიაო, - დაივიწყა ბარაკ ობამამ, ვიდრე პირდაპირ მუქარაზე გადავიდოდა. რა უნდა ქნას პუტინმა - ნატოს ბაზები გახსნას რუსეთში, წითელ მოედანზე პედერასტების პარადი მიიღოს და მაშინ იქნება ადეკვატური?"

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5689&>

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 8 მარტი

**ვალერი კვარაცხელია, წამყვანი:** "[სუბიშვილების კონცერტზე უკრაინის დროშით გამოსვლის თაობაზე] ყველას აქვს უფლება, სადაც უნდა, იქ იმღეროს და სადაც უნდა, იქ იცეკვოს, მაგრამ დღეს დემონსტრაციულად უკრაინის დროშის დაჭერა, რომელიც უკრაინის დროშა კი არ არის, არამედ ფაშისტებს აქვთ ხელში ადებული, უკრაინაში მოხდა ფაშისტური გადატრიალება, მოვიდნენ ბანდერას მემკვიდრეები, რომლებიც არ მალავენ ფაშისტურ განწყობას და მოდიან ლოზუნგით, ხო? აი, ეს ცოტა გადამეტებული მგონია მე"...

<http://obieqtivi.net/tv1.php?id=16076>

### GEWORLD.GE, 4 მარტი

**გიორგი ვიკუა, ჟურნალისტი:** "სამწუხაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ნერგავენ საქართველოს მოსახლეობაში იმ აზრს, თითქოს აშშ ჩვენი ქვეყნის „სტრატეგიული პარტნიორია“ და არ ერევა ჩვენს შინაურ საქმეებში. სინამდვილეში, ეს არის სიცრუე და ამის დასადასტურებლად სხვა ქვეყნების მაგალითებიც კმარა..."

ამჟამად მსგავსი ორგანიზაციების [გასაუდუმლოებული ტერორისტული ორგანიზა-

**უკრაინის მოვლენები -  
საფრთხეებზე დაუსაბუთებელი აკვირება**

ციები] ამოქმედებისთვის ხელსაყრელი პირობები იქმნება უკრაინაში. რუსეთის საფრთხის განეიტრალების საბაზით, აშშ და მისი მოკავშირეები მოახდენენ უკრაინის სუვერენიტეტის თითქმის სრულ ანულირებას და ქვეყანას გადააქცევენ თავიანთი სპეცსამსახურების და საიდუმლო ქსელეების სათარეშო ტერიტორიად... ამიტომ, ანტიფაშისტურ ძალებს მოუწევთ მაქსიმალური მოზილიზება და მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების გაწმენდა საეჭვო ელემენტებისაგან."  
<http://www.geworld.ge/ViewGE.php?G=9175>

**ოზიმატივი, ღამის სტუდია, 3 მარტი**

**ღამით თარსან მოურავი, პატრიოტა აღიანსი:** "თუ ჩვენ ქართველმა ხალხმა, ეხლა სერიოზული ქმედებები არ მოვიმოქმედეთ, აუცილებლად საქართველოში სიტუაცია ძალიან დაიძაბება [საუბრობს უკრაინის მოვლენებზე]... ამიტომ კინოს სახლში მე-3 სართულზე მოხალისეებს ველოდებით... როგორც გადავჭერთ აჭარაში თურქული პრობლემა, იმ გამოკითხვით, 60 000 კაცი გამოვკითხეთ და ქართველი მაჰმადიანები და ქართველი მართლმადიდებლები ერთად იდგნენ და უარს ამბობდნენ იმ საკითხზე, იმ მეჩეთის მშენებლობაზე, იმიტომ, რომ ყველამ იცოდა, რომ იქ მეჩეთი კი არა სადაზვერვო ცენტრი მზადდებოდა და ჩვენ მშვიდად გამოვვდით. თორე იქ ბევრი რამე არ ითქვა, რომ იქ დამაბულობა მზადდებოდა, სერიოზული დაჯახებები მზადდებოდა, უამრავი რაღაცა და ძლიან მშვიდად გავიარეთ და ჩვენი ქვეყანა გადარჩა".

**ანტიდასავლური განწყობები**

**ალია, 6 მარტი**

**შორენა გობოლიძე, ჟურნალისტი:** "წყარო, რომელიც უწმინდესს პირადად ესაუბრა ფულესთან შეხვედრის შემდეგ, "ალიას" უყვება, რომ უწმინდესსა და ევროკომისარს შორის მწვავე საუბარი შედგა..."

უწმინდესისთვის პარაფირებული დოკუმენტის ტექსტი მთლიანად არ არის ცნობილი, მაგრამ მან იცის რამდენიმე პუნქტის შესახებ.

მაგალითად ის, რომ საქართველომ უნდა გადაჭრას თურქი-მესხების საკითხი, დოკუმენტში წერია რეგიონალური ენების შესახებაც, რომ ეს უნდა იყოს მოგვარებული, სწორედ ამას ეწინააღმდეგება უწმინდესი.

საუბარი იყო პარაფირებულ დოკუმენტში კიდევ ერთ პუნქტზე, რომელიც ევროკავშირის კომისიის მუშაობას შეეხება. ამაზე უწმინდესს მკვეთრად უარყოფითი პოზიცია აქვს და წინააღმდეგია. მან ეს პოზიცია ევროკომისართანაც დააფიქსირა. საქმე ეხება ევროკავშირის კომისიის მუშაობას, რომელიც განგვისაზღვრავს ცხოვრების წესს და ეკონომიკურ საკითხებს, თუმცა სინამდვილეში ეს კომისია პოლიტიკას განგვისაზღვრავს. ეს კომისია საქართველოსთვის პარალელურ მთავრობად ითვლება და სწორედ ამის გამო ჰქონდა უარყოფითი პოზიცია უწმინდესს."



**შტეფან ფულე ილია II-სთან შეხვედრაზე**

**ოზიმატივი, ღამის სტუდია, 4 მარტი**

**სოსო მანჯავიძე, წამყვანი:** "შტეფან ფულემ თქვა, რომ ევროკავშირთან დადებული ტექსტის პარაფირების ხელშეკრულება არ ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირი აიძულებს საქართველოს... რომ დაკანონდეს აქ ერთსქესიანი ქორწინებები. მან განაცხადა, ასევე, რომ ქართველ ხალხს აქვს თავისი გარანტიები, თავისი ტრადიციები, ღირებულებები, ფასეულობები და შესაბამისად, ევროკავშირი არ აიძულებს ამაზე რაიმე ტიპის გავლენის მოხდენას და ასევე განაცხადა, რომ მზად არის, შეხვდეს კათალიკოს პატრიარქს. ჩვენ უნდა ვაცნობიერებდეთ, რას მოჰყვას ეს განცხადებები... ქართული საზოგადოების აქტიურობასაც მოჰყვას ეს..."

**გაგრძელება გვ. 6**

## ანტიდასავლური განწყობები

### დასაწყისი გვ. 5

პირდაპირ იყო იმაზე ლაპარაკი, რომ თუ კვლავ გააგრძელებს ასეთი ტიპის უხემ ზეწოლას და ჩვენ გაგვხდის იძულებულს, რომ დაგვაცენებს ალტერნატივის წინაშე, რომ ერთსქესიანი ქორწინებები და სხვა მომყოლი, ასე ვთქვათ, "მომხიბლავი მოვლენები", თუ ევროკავშირში გაწევრიანება, ქართველი ხალხი ეტყვის არას ევროკავშირს და საერთოდ, ევროპას და აიღებს მკვეთრად ჩრდილოურ ვექტორს, თავისი პოლიტიკური ორიენტაციისას... გვიანდა ჩვენ მამაკაცმა მამაკაცზე იქორწინოს და ვალდებული იყოს სახელმწიფო, რეგისტრაცია გააკეთოს? და მეტიც, ხო? გააშვილონ და მიაშვილონ ბავშვები და კიდევ ათასი მსგავსი რამეები, ხომ?.. ვამბობთ, არ გვიანდა? 99 % -ს არ უნდა ეს, ხომ?"

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2277168](http://www.myvideo.ge/?video_id=2277168)  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2277188](http://www.myvideo.ge/?video_id=2277188)

### რეპორტიორი, 6 მარტი

#### ლულუ მიროტაძე, ჟურნალისტი:

„შტეფან ფულემ უთხრა პატრიარქს, რომ თუნდაც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პირების უფლებების დაცვა და მათი პირადი ცხოვრების თავისუფლება ტოლერანტობის მაჩვენებელია, თორემ არავინ გაიძულვებთ, უარი თქვათ ტრადიციებზე და დააკანონოთ ერთსქესიანთა ქორწინებაო. პატრიარქმა პირდაპირ უთხრა ევროკომისარს, რომ ქართველი საზოგადოებისთვის მიუღებელია ის, რაც წერია დოკუმენტში, რომელიც რეგიონული ენების აღიარების საკითხს და ე.წ. პარალელურ მთავრობას ეხება. უწმინდესისთვის პარაფირებული დოკუმენტის ტექსტი მთლიანად არ არის ცნობილი, მაგრამ მან იცის რამდენიმე პუნქტის შესახებ. მაგალითად, ის, რომ საქართველომ უნდა გადაჭრას თურქი-მესხების საკითხი, დოკუმენტში წერია რეგიონალური ენების შესახებაც, რომ ეს

უნდა იყოს მოგვარებული, სწორედ ამას ეწინააღმდეგება უწმინდესი.“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=18974>

### GEWORLD.GE, 5 მარტი

#### გურამ ფირცხალავა,

#### მსახიობი: "დარწმუნებული ვარ, მასში

[ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება] ხაზგასმით წერია ისეთი რაღაცები, რაც ქართულ საზოგადოებაში უკიდურესად მძაფრ აგრესიას გამოიწვევს. მაგალითად, გეილუმების ჩატარების უფლებაზე, ერთსქესიან ქორწინებაზე და ა. შ. ამ დოკუმენტის შემქმნელებმა და ხელმომწერებმა ჩვენზე უკეთ იციან, რომ ხალხი ამას კატეგორიულად არ მიიღებს, ამიტომ «გამოსავალიც» ერთადერთია - ის, უბრალოდ, უნდა დამალონ, გააქრონ და, რაც შეიძლება, მოარიდონ რიგითი ადამიანების ყურადღებას“.

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5697>

### GEWORLD.GE, 5 მარტი

#### ჯუმბარ კატიაშვილი, სსრკ-ს

#### კომუნისტური პარტიის ცეკას ყოფილი

#### მდივანი: "საქართველოში ცხოვრობენ

ადამიანები და არის კუთხეები, რომელთაც ჩვენთან ერთად ცხოვრება სურთ, მაგრამ არ უნდათ საკუთარ ოჯახებში ევროპული პრინციპების გატარება. ამბობენ, რომ უკრაინის პრემიერ-მინისტრი საეჭვო ორიენტაციის არისო. არავის უნდა ქვეყანა, რომლის თავგადაცეც არატრადიციულ ორიენტაციისა იქნება. არავის უნდა დასავლური ღირებულება იმ სახით, როგორსაც ჩვენ გვთავაზობენ.“

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5696>

## ანტიდასავლური განწყობები

ალია, 5 მარტი

**ნიკო სამხარაძე, ჟურნალისტი:** "წინ მტკივნეული რეფორმები გველოდება, ქართული მენტალობის ხელახალი გადახარისხება... ჩვენ უნდა დავიოკოთ ის ემოცია, როცა სექსუალურ უმცირესობებს გაგვითანაბრებენ და სხვა რელიგიურ კონფესიებს მართლმადიდებლურ რელიგიასთან გაათანაბრებენ. ხშირ შემთხვევაში უარის თქმა მოგვიწევს იმ ქართულ ტრადიციებზე, რაც ევროპელისთვის სასაცილოა".

რამორტიორი, 3 მარტი

**ლია რუსიაშვილი, პოეტი:** "ყოვლად მიუღებელია, ადამიანის ტოტალური კონტროლი [ID ბარათების მეშვეობით]. თუკი ევროინტეგრაცია ნიშნავს ჩვენი უფლებების ფეხქვეშ გათელვას, მაშინ ევროინტეგრაციაზე უარს ვაცხადებთ".

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=18477>

GEWORLD.GE 6 მარტი

**მთი სომერიკი, ჟურნალისტი:** "ეთანხმებით გავრცელებულ აზრს, რომ აშშ მანკიერების, გეებისა და ათასი ბიწიერების ქვეყანაა?..

**ვალერი საბურქანიძე, უშიშროების ყოფილი მინისტრი:** "ესაა ლიბერალიზმი... მათ არ აქვთ ეთნიკური საფუძველი და იდეა, მაგრამ სახელმწიფოს სჭირდება იდეა. აქედან გამომდინარე, ამერიკა ეძებს იდეებს და, სამწუხაროდ, მიაღწა ამ იდეას, რომელსაც ჰქვია ჰომოფობია ჰომოფობიის საწინააღმდეგოდ. ეს გულისხმობს იმას, რომ უზნეო ადამიანები საზოგადოებას უკვე თავს ახვევენ საკუთარი ცხოვრების წესს. ამას არიან უკვე იმით, რომ ისინი არიან „თავისუფალი ადამიანები“, არიან ლგბტ საზოგადოების წევრები და ამის ცირკის დონეზე დემონსტრირებას ახდენენ. რა ესთეტიკურია რაღაც ფალოსის ფიტულების ტარება და შიშველი მამაკაცების ტინგიცი, ერთი ამიხსნან და რატომ უნდა ხდებოდეს ამის დემონსტრირება?.. რაც შეეხება მათ, ვისაც გენეტიკურად და ჰორმონალურად აქვთ პრობლემები, მათი მესმის, მაგრამ ამ ადამიანებმა თავიანთი ზნეობრივი მუხრუჭი უფრო წინ უნდა დააყენონ და ის, რომ შენ, ვთქვათ, გენეტიკურად და ჰორმონალურად ასეთი ხარ, უნდა იმკურნალო, თუ ეს არ გამოდის, მაშინ პირად ცხოვრებას ნუ გახდი ღიას და ნუ მომახვევ თავს მე - საზოგადოებას."

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5698>

GEWORLD.GE 5 მარტი

**დავით მხეიძე, ჟურნალისტი:** "ეს ის «ჰუმანისტი» იანკები არიან, რომლებმაც დედაბუდიანად ამოწყვიტეს ინდიელები; ეს იმ რასისტების ამერიკაა, რომელშიც მილიონობით ბიძია თომას სულს ხდიდნენ მონურ შრომაში, ხოლო იმ თომების შთამომავლებს გასული საუკუნის 60-იან წლებამდე კუ-კლუქს-კლანი ცოცხლად წვავდა, გადარჩენილებს კი დამამცირებელ რასობრივ დისკრიმინაციაში უწევდათ არსებობა; ეს ის «დემოკრატები» არიან, რომლებიც «ნაციონალურ ინტერესებს» თავიანთი ქვეყნიდან ათასობით მილს იქეთ იცავენ - უმოწყალოდ დაბომბეს მართლმადიდებელი(!) სერბეთი, მარტივ მამრავლებად დაშალეს იუგოსლავია, გამოგონილი მიზეზით დაიწყეს ერაყში ომი და ეგვიპტე-ლიბიაში - «რევოლუციები»; შემდეგ კი თავისივე შექმნილი დიქტატორები წამებით მოკლეს ან კატასავით დაახრჩეს; ეს ის ამერიკელები არიან, რომლებიც სიტყვით ტერორიზმს ებრძვიან, სინამდვილეში კი რადიკალ-ისლამისტებს ხელსაც უწყობენ და აფინანსებენ კიდევ, თუ მათი ქმედება რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ (მაგალითად, სირიაში) არის მიმართული."

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5689&>



**ალია:** "ჩვენ უნდა დავიოკოთ ის ემოცია, როცა სექსუალურ უმცირესობებს გაგვითანაბრებენ და სხვა რელიგიურ კონფესიებს მართლმადიდებლურ რელიგიასთან გაათანაბრებენ. ხშირ შემთხვევაში უარის თქმა მოგვიწევს იმ ქართულ ტრადიციებზე, რაც ევროპელისთვის სასაცილოა".

## ანტიღასაკლური განწყობები

GEWORLD.GE, 5 მარტი

**გიორგი გამრანიძე, გლობალური ტენდენციების კვლევის ინსტიტუტი:** "... ეს [ახალი მსოფლიო წესრიგი, საუბრობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების შესახებ] არის უბოროტესი სისტემა, რომელიც კი არსებულა კაცობრიობის ისტორიაში... როდესაც დასრულდება ამ ახალი ადამიანის, იმავე მონის შექმნა, მთელი კაცობრიობა გახდება ბევრად უფრო იოლი სამართავი; ხოლო მოქალაქე, როგორც ინდივიდი, ფაქტობრივად, გაქრება და ცხოველივით, პირუტყვივით მას არ ექნება არც თავისუფალი ნება, არც ფასეულობები, ღირებულებები, რელიგია და ა. შ. აი, ესაა ის ე. წ. ნეოლიბერალიზმი, რომელიც არის ყოვლად ავადმყოფი ხალხის ყოვლად ავადმყოფური მოძრაობა."

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5700&lang>

## რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

პირველი, 8 მარტი

სააგენტო აშუქებს ადგილობრივთა უკმაყოფილებას ხობში იეჰოვას მოწმეების მიერ სამეფო დარბაზის აშენების ფაქტის გამო. ინფორმაციაში არ არის წარმოდგენილი თავად ადგილობრივ იეჰოვას მოწმეთა პოზიცია.

მარნეულში, მაგრამ აგერ თელავში? გორში? ან თბილისში რატომ უნდა ჰქონდეს, რომ ჩამოვა საქმეზე ბარემ შეიაროს მეჩეთში? მაჩვენეთ თურქეთის რომელ პროვინციაშია მართლმადიდებლური ეკლესია, ქართული, ტაოში არის? და ართვინში არის? იქ კონსტიტუციით იკრძალება სხვა რჯულის ქადაგება“.

GEWORLD.GE, 3 მარტი

**გიორგი გამრანიძე, გლობალური ტენდენციების კვლევის ინსტიტუტი:** "ეს ხელისუფლება შეიძლება გამოკვეთილად არა, მაგრამ არსობრივად წინამორბედის კურსს აგრძელებს. ამის თქმის საფუძველს მამლევს თუნდაც ის გადაწყვეტილება, რომელიც რელიგიური კონფესიების დაფინანსებასთან დაკავშირებით მიიღეს..."

"კიდევ ვიმეორებ: ეს არის ახალი მსოფლიო წესრიგის შემადგენელი ნაწილი და მისი მთავარი ამოცანაა ერთიანი საზოგადოებრივი მონოლითის დანგრევა, რომ უმცირესობები დაუპირისპირონ უმრავლესობებს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, აქ მოქმედებს პრინციპი, დაყავი და იბატონე. მორჩა, ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ ისინი ყველა დონეზე."



**ელჩაზარ დეკანოიძე, სამების ტაძრის დიაკვანი:**

„სად უნდა ჰქონდეს იცით, მეჩეთი მუსლიმანს? თავის სოფელში, სადაც ცხოვრობს. ფაბრალში, მარნეულში, მაგრამ აგერ თელავში? გორში? ან თბილისში რატომ უნდა ჰქონდეს, რომ ჩამოვა საქმეზე ბარემ შეიაროს მეჩეთში?“

**ადგილობრივი მცხოვრები:** „ჩვენ დავინტერესდით რას აშენებდნენ და გვითხრეს, რომ „სამეფო დარბაზი“ შენდება, სადაც შეხვედრები გაიმართება. ჩვენ ვერ შევეგუებით ამ ფაქტს და ორშაბათიდან საოპროტესტო აქციების გამართვას ვიწყებთ“.

პაპასია, სამხტრი, 5 მარტი

**დავით აქუზარდია, წამყვანი:** "საშინელება, ჩვენ თუ ზღვის მხარე არ ავითვისეთ, დამიჯერე აღარ ვლავარაკობ იმაზე, რომ 1400 მეჩეთი აგვიშენეს თურქებმა საქართველოში. წამოვლენ აქა და დაიკავებენ იმ ადგილებს"...

ქრონიკა, 3 მარტი

**ელჩაზარ დეკანოიძე, სამების ტაძრის დიაკვანი:** „სად უნდა ჰქონდეს იცით, მეჩეთი მუსლიმანს? თავის სოფელში, სადაც ცხოვრობს. ფაბრალში



## სემსუალური ორიენტაციის ნიშნით ღისკრიმინაცია

ასავალ-დასავალი,  
3-9 მარტი

**კამელტ ჭიკაშვილი, პო-  
ლიტოლოგი:** "ერთსქესიან  
ქორწინებასაც დაგვიკანონე-  
ბენ - ჩვენსავე ხელით, ანუ  
უსუფაშვილ-ალასანიასეუ-  
ლი პარლამენტარების ხელ-  
ით და ვივლით კურტუმოს  
ქნევით, როგორც ქალები, ისე  
კაცები ხელი-ხელ ჩაკიდებუ-  
ლნი, ტუჩ-თვალ შედებილნი  
და ვიყვირებთ ხმამაღლა -  
ქართველები ვართ, მაშასა-  
დამე ევროპელები... მერე  
გავთხოვდებით (ცხადია კაც-  
ები) უცხოეთში და შევქმნით  
"ბედნიერ" ოჯახს, ტრადიცი-  
იულს, ქართულს."

**გიორგი ბიბაური, ჟურნ-  
ალისტი:** "დაბოლოს, ბატონო  
ნოდარ, მინდა, ლგბტ საზო-  
გადოების საჩვიდმეტმისო  
აშკარა მზადებაზე გკითხ-  
ოთ... რა უნდა გააკეთოს ხა-

ლხმა, რომ რუსთაველზე  
"ევროპული გეიადღუმები"  
არ გაიმართოს?"

**ნოდარ მგალობლივილი  
მსახიობი:** "ეს დაუშვებელია!  
მე არც ასეთი ევროპა მინდა  
და არც - ამერიკა! თუ ჩვენ  
ტრადიციებსა და ფასეულო-  
ბებს დავკარგავთ, რა აზრი  
აქვს ასეთ არსებობას?!.. 17  
მაისს მთელი თბილისი უნ-  
და გამოვიდეს რუსთაველის  
გამზირზე და ყოველგვარი  
აყალმაცალის გარეშე მდუმ-  
არედ გააპროტესტოს ეს უმს-  
გავსობა!.. დაე, მთელმა მსო-  
ფლიომ დაინახოს, რომ ერიც  
და ბერიც არ დაუშვებს "ცის-  
ფერ ადღუმებს" საქართველო-  
ში! ეს ჩვენი არ არის - მო-  
რჩა და გათავდა!.. და თუ ამ-  
ის გამო დაგვიწუნებენ ევრო-  
პოპში, მაშინ სულ კარგად  
ბრძანდებოდნენ".

**გიორგი ბიბაური ჟურ-  
ნალისტი:** "დიახ, ეს სიბი-  
ლწე [TBC-ის მიერ ორგანი-  
ზებული ლიტერატურულ  
კონკურსს "საბას" გამარჯვ-  
ებული არჩილ შარვაშიძის  
ნაწარმოები "თავსაფრიანი  
ბოზები"] აშკარად ნიკო  
ლორთქიფანიძის ცნობილი  
"თავსაფრიანი დედაკაცის"  
ანტიპოდი არის შექმნილი  
და ამიტომაც ასდის ლიბე-  
რასტული სიმყრალის სუ-  
ნი!.. ლგბტ საზოგადოების  
ცნობილი წარმომადგენელი  
და სააკაშვილის ერთ-ერთი  
ლაქია ანჟელა მაზმანიანი  
მამუკა ხაზარაძეს სოლიდა-  
რობას უცხადებს!.. მამუკა  
ხაზარი და ანჟელა მაზმა-  
ნიანი ნამდვილად ერთად  
უნდა წარსდგნენ მოწმის  
სახითაც და ურწმუნო უკა-  
ნალითაც სასამართლოს  
წინაშე!"

## პოლიტიკური სკიპულაციები

ალია 7-10 მარტი

**გელა ზემელაშვილი, ჟურნალისტი:** "ალია" "ნაციონალების" მიერ გადაბირებული  
გავლენიანი უცხოელების შესახებ ჯერ კიდევ 2013 წლის დეკემბერში წერდა. მაშინ საუბარი  
იყო ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელზე საქართველოში, ფილიპ  
დიმიტროვზე, რომელიც ხელიდან არასოდეს უშვებს მომენტს ჭკუაზე არ დაგვარიგოს. ის  
ყოველთვის შეგვახსენებს, რომ გეიქორწინების ლეგალიზებას არავინ გვადმლებს, მაგრამ  
ევროკავშირში მოსახვედრად ამას მაინც ვერ ავცდებით და უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს  
დანაშაული არ არის. სწორედ ამ განცხადების შემდეგ იყო, რომ "ალიას" ერთ-ერთი  
მაღალჩინოსანი დაუკავშირდა და განუცხადა, დიმიტროვი თავად არის ჰომოსექსუალი და  
მას შემდეგ, რაც "ნაციონალებმა", თავის დროზე ფარულად გადაუღეს ვიდეო, მთლიანად  
აკონტროლებენ და მეტიც, გიგა ბოკერია თავის ჭკუაზე ატრიალებსო...

დაუკვირდით, ფილიპ დიმიტროვი ზუსტად ისე აზროვნებს, როგორც გიგა ბოკერია: ესე  
იგი, თურმე საქართველოში არსებობს ადამიანთა დიდი ჯგუფი, რომელიც ზეწოლას  
ახდენს განსხვავებულ რელიგიაზე, განსხვავებულ გემოვნებაზე (აქ ჰომოსექსუალიზმი  
იგულისხმება) და განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებზე. ეს უკვე არა მხოლოდ  
ქვეყნის საშინაო საქმეების განგებ არევა არამედ "ნაციონალების" აშკარა მხარდაჭერაც".

პირველი, 7 მარტი

**ნინო რამკვიაშვილი, ჟურნალისტი:** „არადა, თურმე „ნაციონალებს“ მართლაც  
აქვთ ვიდეოფირები, სადაც კარგად ჩანს დიმიტროვის ვნებები.“

## გენდერული თემატიკა



მიშელ ობამამ რუსუდან გოცირიძე დააჯილდოვა

საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოს რუსუდან გოცირიძის დაჯილდოვება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის "ქალთა საერთაშორისო ჯილდოთი სიმამაცისთვის" ინტერნეტ-პორტალმა ნეტგაზეთმა (4 მარტი) და სააგენტო ინტერპრესნიუსმა (5 მარტი) გააშუქეს. ეს თემა არ გაშუქებულა პრაიმ-ტიმის სატელე-

ვიზიო საინფორმაციო გამოშვებებში.

გაზეთმა "რეზონანსმა" (5 მარტი) კი ანალოგიურ ჯილდოზე მხოლოდ უკრაინელი მომღერლის, ერომაიდნის აქტივისტის რუსლანას წარდგენა გააშუქა, რუბრიკაში "გართობა", რაც რედაქციის მხრიდან სტერეოტიპული დამოკიდებულების გამოხატვაა, რომლის თანახმად, მომღერალი ქალი გართობის ობიექტად განიხილება და არა პოლიტიკურ აქტივისტად, რისთვისაც მას აღნიშნული ჯილდო გადაეცა.

ქალთა თემატიკა ვრცლად იყო გაშუქებული ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის კონტექსტში. თუ მედია საშუალებებმა ეს თემატიკა ძირითადად ოფიციალური ღონისძიებების წარმოჩენის კუთხით გააშუქეს, ინტერნეტ-პორტალმა ნეტგაზეთმა გენდერულ საკითხებზე ყველაზე სიღრმისეული მასალები შესთავაზა მკითხველს და აქცენტი ქალთა უფლებების დაცვაზე გააკეთა.

## ცრურწმენები

### ასავალ-დასავალი, 3-9 მარტი

**ჯაბა მკიმი:** "ხელალებით ვერ ვიტყვი, თუმცა, ქართველთაგან უმეტესად ნაციონალების მმართველობის პერიოდში ბევრი რამ ხდებოდა ხალხის საწინააღმდეგო. არაა გამორიცხული, რომ ეს გაურკვეველი წარმოშობის გრიპები და ვირუსები ხელოვნურად ვრცელდებოდა."



მედიის განვითარების ფონდი, MDF

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, GDI

ილ. ჭავჭავაძის გამზირი №54, მე-5 სად. მე-4 სართული. ქ.თბილისი, საქართველო, 0179

დ.გამრეკელის #2, მე-4 სართული ქ.თბილისი, საქართველო, 0179

ტელ/ფაქსი: (+99532) 2 22 00 16

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 72 8008

[www.mdfgeorgia.ge](http://www.mdfgeorgia.ge)    [www.gendermediator.ge](http://www.gendermediator.ge)

[www.gdi.ge](http://www.gdi.ge)